ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3761432

ნომერი: AR1566619

თარიღი : 22.12.2017

გაცემის თარიღი : 29.12.2017

გაცნობის თარიღი : 03.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , ნაკვეთი 05/010 / ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის Iკვ.კორპ.N3-ის მიმდ. / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ N3-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ. N2-ის მიმდებარედ ნაკვ.05/007;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი აღლემაშვილი პ/ნ 47001001108
- ვაზისუბანი 3მკ/რ 1კვ 2 კორპუსი ბინა 119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ ".სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები "-ს ველში მითითებული ბრძანების ნომრით შეთანხმებული შენობა უკვე მიღებულია ექსპლუატაციაში და შესაბამისად მასში კორექტირება ვეღარ განხორციელდება.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 09.10.2017წ. №3598344 გადაწყვეტილებით I კლასის სამუშაოებზე (კარის და ფანჯრის ღიობების მოწყობაზე) გაიცა წერილობითი თანხმობა, რომელიც დარღვევით არის განხორციელებული, რაც დასტურდება ამჟამად წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მოითხოვოთ №3598344 გადაწყვეტილების კორექტირება, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- სამსახურს მსგავს ფერებში ფასადის შეღებვა შესაძლებლად არ მიაჩნია. ფასადის შეღებვა შესაძლებელია არსებული, სადა ფერების შენარჩუნებით მისი აღდგენა განახლების მიზნით. შესაბამისად წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი.
- დამატებით წარმოსადგენის საპროექტო ადგილის შედარებით ახლო ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითიტებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.
- .სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის ნომერი: ველში უნდა მიეთითოს №3598344
- .სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის თარიღი : ველში უნდა მიეთითოს 09 ოქტომბერი 2017წ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.